

# დანართები

კვლევის ჩასატარებლად საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ შეიმუშავა კითხვარი, რომელიც შედგებოდა 168 მრავალეფემენტური კითხვისაგან. დოკუმენტი ეფუძნება კითხვარებს, რომლებიც შეიმუშავეს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცირე და საშუალო სანარმოთა ჯგუფებმა უზბეკეთში, უკრაინასა და ტაჯიკეთში. დოკუმენტი შემდგომ დამუშავდა საქართველოს რეალობასთან მისადაგებლად. წინასწარი ტესტირებით კითხვარი გამოიცადა ათ მცირე და საშუალო სანარმოზე, რათა გასწორებულიყო კითხვები და შესწორებულიყო გამსაუბრებლების ინსტრუქციები.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ხელშეკრულება დადო ადგილობრივი კვლევის კომპანია “გორბთან”, რომელმაც ჩაატარა გასაუბრებები და კომპიუტერულ პროგრამაში შეიტანა მონაცემები. შედეგები ეფუძნება თითოეული რესპონდენტის მიერ გაცემულ პასუხს ჩატარებული ინტერვიუების დროს. პასუხები არ არის გადამონმებული სხვა საინფორმაციო წყაროებიდან, თუმცა, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლებმა ჩაატარეს შერჩევითი გადამონმება იმასთან დაკავშირებით, გაიარეს თუ არა კომპანიის წარმომადგენლებმა გასაუბრებები. შესაბამისად, გასათვალისწინებელია, რომ წინამდებარე მონაცემები, შესაძლოა, გაზვიადებული იყოს, კორექტირებული ან სხვაგვარად წარმოდგენილი კანონდარღვევების დასაფარად, ან, უბრალოდ, იმ მიზეზით, რომ კომპანია და მისი საქმიანობა წარმოჩინდეს უფრო მიმზიდველი სახით.

კვლევის შედეგები განიხილეს ფოკუს-ჯგუფებმა, რომლებიც შედგებოდნენ მცირე და საშუალო სანარმოთა, საგადასახადო სამსახურის, საბაჟო დეპარტამენტის, სასამართლოს, საქსტანდარტის, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისაგან. ამ მეთოდოლოგიამ უზრუნველყო შედეგების შეფასება და ძირითადი დასკვნების მომზადება თითოეული თავისათვის.

### გამოკითხვის მონაწილეთა შერჩევა

8,790 მცირე და საშუალო სანარმოთა სრული სია მოპოვებულ იქნა სტატისტიკის დეპარტამენტიდან. სიაში შევიდნენ ბიზნეს-სუბიექტები, რომლებიც არიან თბილისსა და საქართველოს ცხრა რეგიონში. სიაში არ შესულა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რომლებიც არ იმყოფებიან ცენტრალური ხელისუფლების დე-ფაქტო იურისდიქციაში. ასევე, გამოირიცხა კიდევ ერთი რეგიონი – აჭარა, კვლევის ვადები დაემთხვა რეგიონში რეჟიმის შეცვლას და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ გადანყვიტა თავი შეეკავებინა აჭარაში ვიზიტისაგან უსაფრთხოების გამო<sup>34</sup>. პირები, რომლებსაც ჩაუტარდათ გასაუბრება, იყვნენ ან მალალი რანგის მენეჯერები, ან მესაკუთრეები, სანარმოში გადანყვიტების მიღებაზე უფლებამოსილი პირები.

სანარმოთა შერჩევა მოხდა ალაღბედზე, ბიზნეს-საქმიანობის სფეროსა და რეგიონებისთვის დადგენილი ფიქსირებული კვლევის საფუძველზე, ეკონომიკური სექტორებისა და რეგიონების შედარების მიზნით. გამოკითხვის მონაწილეებმა პასუხი გასცეს 168 შეკითხვას, რომლებიც დაკავშირებული იყო მათი საქმიანობის ყველა ასპექტთან. კვლევის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები და კვლევის მეთოდოლოგია იმისთვის შეიქმნა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო იმ მონაცემების შეგროვება, რომელთა შედარება შესაძლებელი იქნებოდა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მიღებულ მონაცემებთან, საქართველოს ბიზნეს-გარემოში მიმდინარე რეფორმებზე თვალყურის მიდევნების მიზნით.

<sup>34</sup> 2004 წლის ზაფხულიდან აჭარა ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაშია.

ტაბულა 2. მცირე და საშუალო საწარმოთა მთლიანი რაოდენობა – რეგიონების მიხედვით

რეგიონები	მცირე	საშუალო	სულ	მცირე (%)	საშუალო (%)	სულ (%)
გურია	98	42	140	1.4	2.5	1.6
იმერეთი	1,035	231	1,266	14.5	13.9	14.4
კახეთი	290	88	378	4.1	5.3	4.3
მცხეთა-თიანეთი	154	38	192	2.2	2.3	2.2
ქვემო ქართლი	621	116	737	8.7	7.0	8.4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	71	22	93	1.0	1.3	1.1
სამცხე-ჯავახეთი	169	46	215	2.4	2.8	2.4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	485	145	630	6.8	8.7	7.2
შიდა ქართლი	248	62	310	3.5	3.7	3.5
თბილისი	3,956	873	4,829	55.5	52.5	54.9
<b>სულ</b>	<b>7,127</b>	<b>1,663</b>	<b>8,790</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

ტაბულა 3. გამოკითხულ მცირე და საშუალო საწარმოთა მთლიანი რაოდენობა — რეგიონების მიხედვით

რეგიონები	რაოდენობა			შენიშნული (%)			შენიშნული კოეფიციენტი		
	მცირე	საშუალო	სულ	მცირე	საშუალო	სულ	მცირე	საშუალო	სულ
გურია	33	29	62	5.8	8.6	6.8	0.24	0.30	0.23
იმერეთი	84	55	139	14.7	16.2	15.3	0.99	0.86	0.94
კახეთი	55	33	88	9.6	9.7	9.7	0.42	0.54	0.44
მცხეთა-თიანეთი	45	29	74	7.9	8.6	8.1	0.27	0.27	0.27
ქვემო ქართლი	70	29	99	12.3	8.6	10.9	0.71	0.82	0.77
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29	21	50	5.1	6.2	5.5	0.20	0.21	0.19
სამცხე-ჯავახეთი	45	29	74	7.9	8.6	8.1	0.30	0.32	0.30
სამეგრელო და ზემო სვანეთი	55	29	84	9.6	8.6	9.2	0.71	1.02	0.78
შიდა ქართლი	50	30	80	8.8	8.8	8.8	0.40	0.42	0.40
თბილისი	105	55	160	18.4	16.2	17.6	3.02	3.24	3.12
<b>სულ</b>	<b>571</b>	<b>339</b>	<b>910</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>			

მცირე და საშუალო საწარმოთა განაწილება საქართველოს ეკონომიკის დარგების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

**ტაბულა 4. საქართველოში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოები – დარგობრივი განაწილება**

ეკონომიკური სექტორი	მცირე	საშუალო	სულ	მცირე (%)	საშუალო (%)	სულ (%)
წარმოება	1,308	303	1,611	18.4	18.2	18.3
მომსახურება	2,394	668	3,062	33.6	40.2	34.8
მშენებლობა	353	176	529	5.0	10.6	6.0
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	2,336	232	2,568	32.8	14.0	29.2
სოფლის მეურნეობა	227	51	278	3.2	3.1	3.2
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	509	233	742	7.1	14.0	8.4
<b>სულ</b>	<b>7,127</b>	<b>1,663</b>	<b>8,790</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>	<b>100.0%</b>

წყარო: სტატისტიკის დეპარტამენტი

**ტაბულა 5. გამოკითხული მცირე და საშუალო საწარმოები – დარგობრივი განაწილება**

ეკონომიკური სექტორი	მცირე	საშუალო	სულ	მცირე (%)	საშუალო (%)	სულ (%)
წარმოება	100	66	166	18.6	17.7	18.2
მომსახურება	120	66	186	22.3	17.7	20.4
მშენებლობა	60	60	120	11.2	16.1	13.2
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	120	66	186	22.3	17.7	20.4
სოფლის მეურნეობა	63	49	112	11.7	13.2	12.3
ტრანსპორტი	75	65	140	13.9	17.5	15.4
<b>სულ</b>	<b>538</b>	<b>372</b>	<b>910</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

ზემოთმოყვანილ ცხრილში მითითებული სექტორები საქართველოში გავრცელებული ბიზნესის ფართო სპექტრს მოიცავს. ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაცია დაეფუძნა ოთხნიშნა საქმიანობის კლასიფიკაციას NACE 1 შესწორებული ვერსიის მიხედვით, რომელიც შეიქმნა 1990 წელს. ის წარმოადგენს “ევროკავშირში ეკონომიკური საქმიანობის ზოგადი სამრეწველო კლასიფიკაციის განახლებულ ვერსიას”, რომელიც ცნობილია NACE აბრევიატურით, და პირველად გამოქვეყნდა ევროსტატის მიერ 1970 წელს.

## მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოთა განსაზღვრა საქართველოში

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებს აქვთ შემდეგი განმარტება:

- **მცირე საწარმო** – დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 20 კაცს და წლიური ბრუნვა არ აღემატება 500,000 ლარს.
- **საშუალო საწარმო** – დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,500,000 ლარს.
- **მსხვილი საწარმო** – დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა აღემატება 100 კაცს და წლიური ბრუნვა აღემატება 1,500,000 ლარს.

არსებობს ორი ძირითად კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის კატეგორიას; ესენია - დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და წლიური ბრუნვა. ამდენად, კომპანია ოთხი დასაქმებული პირით და 2,000,000 ლარიანი წლიური ბრუნვით მსხვილი საწარმოს კატეგორიაში გადის. კომპანია 80 თანამშრომლით და წლიური ბრუნვით - 1,000,000 ლარი, მიიჩნევა საშუალო საწარმოდ.

**ახალი საგადასახადო კოდექსი: გადასახადები და საგადასახადო განაკვეთები<sup>35</sup>**

გადასახადი	საგადასახადო ობიექტი	საგადასახადო განაკვეთები
საშემოსავლო გადასახადი	დასაბეგრი შემოსავალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა წლიურ მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ გამოქვითვებს შორის.	<b>12%</b>
მოგების გადასახადი	მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა მთლიან შემოსავალსა და საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ გამოქვითვებს შორის.	<b>20%</b>
სოციალური გადასახადი	სოციალური გადასახადი გადაიხდება ხელფასებიდან, კომპენსაციიდან ან სარგებლიდან, რომელიც მიღებულია განუვლი სამსახურის და ეკონომიკური საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან <sup>36</sup> .	<b>20%</b>
დღგ	დამატებითი ღირებულება შექმნილი საქონლისა და მომსახურების წარმოებისას და ბრუნვისას; ერიცხება საქონლის საბაჟო ღირებულებას (რაც მოიცავს საბაჟო მოსაკრებელს, საბაჟო გადასახადს, აქციზს), რაც საქართველოს ტერიტორიაზე იმპორტირებული.	ძირითადი განაკვეთი – <b>18%</b> <sup>37</sup> . <b>ნულოვანი განაკვეთით</b> იბეგრება: ა. საქონლის ექსპორტი; ბ. მგზავრთა და საქონლის საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურება, ასევე, თვითმფრინავში არსებული საავიაციო სანავაგი საერთაშორისო რეისებზე; გ. საქართველოს ეროვნული ბანკისათვის ოქროს მარაგების მიწოდება; დ. საქონლის (მომსახურების) მიწოდება/იმპორტი დიპლომატიური სამსახურებისათვის; ე. ტურისტული მომსახურების განწევა; ვ. კაპიტალური აქტივებისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება.
აქციზი	აქციზური საქონლის იმპორტი საქართველოს ტერიტორიაზე, აქციზური საქონლის გამოტანა, სანარმოს სანყოფიდან აქციზური საქონლის მოხსნა; საკუთარი წარმოების აქციზური საქონლის გამოყენება არააქციზური საქონლის სანარმოებლად; შავი და ფერადი ლითონის შემცველი ჯვართის ექსპორტი.	საგადასახადო განაკვეთები განსხვავდება აქციზური საქონლის ტიპებისაგან, როგორცაა, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს პროდუქცია, სამგზავრო ავტოტრანსპორტი, ნავთობ-დისტილატები და სხვა ნავთობპროდუქცია, გაზი, შავი და/ან ფერადი ლითონების შემცველი ჯვართი და სხვ. <sup>38</sup> <b>ნულოვანი განაკვეთით</b> ასევე იბეგრება აქციზური საქონლის ექსპორტი.

<sup>35</sup> მოცემული თავი მომზადდა აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტოს პროგრამა GEGI-ს მიერ.  
<sup>36</sup> სოციალური გადასახადი არ გამოიქვითება.  
<sup>37</sup> 2005 წლის ივლისამდე, დღგ-ს განაკვეთი 20%-ია.  
<sup>38</sup> აქციზის განაკვეთები ფიქსირებულია, განსხვავებით ad valorem გადასახადებისაგან, რომლებიც მოქმედებდნენ ზოგიერთ აქციზურ საქონელზე 1997 წლის საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

გადასახადი	საგადასახადო ობიექტი	საგადასახადო განაკვეთები
<b>ადგილობრივი გადასახადები<sup>39</sup></b>		
ქონების გადასახადი	<p>ა. ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;</p> <p>ბ. ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება;</p> <p>გ. ფიზიკურ პირთა საკუთრებაში არსებული სამგზავრო ავტომობილები;</p> <p>დ. ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული იახტები (ძრავიანი ნაგები), თვითმფრინავები და ვერტმფრენები;</p> <p>ე. ფიზიკური და/ან იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ფიზიკური და/ან იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწები.</p>	<p>საგადასახადო განაკვეთები განსხვავდება ქონების ტიპების მიხედვით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>■ ქონების ღირებულების<sup>40</sup> <b>1%-მდე</b> ეხება ქონებას, რომელიც გამოიყენება ბიზნეს-საქმიანობისათვის.</li> <li>■ უძრავი ქონების საგადასახადო განაკვეთი (ბ სექცია) განსხვავდება ოჯახის წლიური შემოსავლის მიხედვით:             <ul style="list-style-type: none"> <li>ა. ოჯახებისათვის, რომელთა წლიური შემოსავალი 40,000 ლარიდან 60,000 ლარამდეა — გამოიყენება ქონების საბაზრო ღირებულების <b>0.05%-0.2%</b>.</li> <li>ბ. ოჯახებისათვის, რომელთა წლიური შემოსავალი 60,000 ლარიდან 100,000 ლარამდეა — გამოიყენება ქონების საბაზრო ღირებულების <b>0.2%-0.4%</b>.</li> <li>გ. ოჯახებისათვის, რომელთა წლიური შემოსავალი 100,000 ლარზე მაღალია — გამოიყენება ქონების საბაზრო ღირებულების <b>- 0.4%-0.8%</b>.</li> </ul> </li> <li>■ საგადასახადო განაკვეთი ავტომობილებზე (გ სექცია) განსხვავდება ძრავის სიმძლავრისა და ავტომობილის ასაკის მიხედვით და შეადგენს <b>5 ლარიდან 300 ლარამდე</b>.</li> <li>■ საგადასახადო განაკვეთი იახტებისათვის (ძრავიანი ნაგები), თვითმფრინავებისა და ვერტმფრენებისათვის (დ სექცია) განსხვავდება ძრავის ტიპისა და სიმძლავრის მიხედვით.</li> <li>■ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისათვის (ე სექცია) ძირითადი საგადასახადო განაკვეთი ერთ კვ.მ.-ზე განსხვავდება ადმინისტრაციული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით.</li> <li>■ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საგადასახადო განაკვეთი (ე სექცია) <b>0.24 ლარამდეა<sup>41</sup></b>.</li> </ul>
გადასახადი აზარტულ თამაშებზე	<p>შემოსავალი მიღებული:</p> <p>ა. ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან;</p> <p>ბ. სათამაშო მაგიდებისა და ავტომატებიდან;</p> <p>გ. ტოტალიზატორების, ბინგოებისა და საბუკემიკეროებიდან (სპეციალურად ორგანიზებული ადგილები, სადაც ფსონების მიღება და მოგების გადახდა ხდება ავტომატის საშუალებით/მოლარის მიერ ან სხვაგვარად);</p> <p>დ. სალატარო საპრიზო ფონდებიდან;</p> <p>ე. ელექტრონული თამაშების სისტემიდან.</p>	<p>საგადასახადო განაკვეთები განსხვავდება აზარტული თამაშების ბიზნესის მიხედვით:</p> <p>ა. ლატარიის ორგანიზატორებისათვის — ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების, არაუმეტეს, <b>20%</b>.</p> <p>ბ. კაზინოში თითოეულ სათამაშო მაგიდაზე — <b>5,000 -10,000</b> ლარამდე თვეში;</p> <p>გ. თითოეულ სათამაშო ავტომატზე — <b>50-200</b> ლარამდე თვეში;</p> <p>დ. თითოეულ ტოტალიზატორზე, ბინგოზე და ბუკემიკერზე — <b>300-600</b> ლარამდე თვეში;</p> <p>ე. თითოეულ ლატარიაზე — საპრიზო ფონდის <b>10%</b>;</p> <p>ვ. ელექტრონული თამაშების სისტემაზე — <b>2,000 - 10,000</b> ლარი თვეში.</p>

<sup>39</sup> საგადასახადო კოდექსი ადგენს მინიმალურ და მაქსიმალურ ზღვარს ადგილობრივ გადასახადებზე. ადგილობრივი თვითმმართველობები და მმართველობები უფლებამოსილი არიან დაანესონ ადგილობრივი გადასახადები, რომელსაც ითვალისწინებს საგადასახადო კოდექსი და განსაზღვრონ საგადასახადო განაკვეთი საგადასახადო კოდექსის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში.


<sup>40</sup> დასაბეგრო ქონების ღირებულება წარმოადგენს აქტივების საშუალო წლიურ ნარჩენ ღირებულებას (რაც მოიცავს ძირითად საშუალებებს, დაუმონტაჟებელ მონყობილობებს, დაუსრულებელ კაპიტალდაბანდებასა და არამატერიალურ აქტივებს), რომლებიც ასახულია საბალანსო უწყისში. იგი გამოიანგარიშება აქტივების საშუალო ღირებულებიდან, რომელიც კალენდარული წლის დასაწყისსა და ბოლოს ფიქსირდება.

<sup>41</sup> ძირითადი საგადასახადო განაკვეთი განისაზღვრება საერთო ფართობისა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიწის ნაკვეთის მდებარეობის მიხედვით მოცემულ ტერიტორიაზე დადგენილი ტერიტორიული განაკვეთის გადამრავლებით.

### სავაჭრო დეფიციტის გამომწვევი ფაქტორები

გასული ათწლეულის მანძილზე სავაჭრო დეფიციტის მიზეზები არ შეცვლილა. რამდენიმე გამონაკლისის გარდა – საქართველოს საექსპორტო საქონელი ძირითადად შედგება ტრადიციული, დაბალი ღირებულების პროდუქტებისაგან. თუმცა სატრანზიტო შემოსავლები გაიზარდა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან (რაც ძირითადად განპირობებული იყო ნავთობის ტრანზიტის ზრდით კასპიის ზღვიდან), მაგრამ მაინც სატრანზიტო მოცულობები დამოუკიდებლობამდე (1991 წ.) არსებული მოცულობების მესამედს შეადგენს. ბოლო პერიოდში იმატა ტურიზმმა, თუმცა უმნიშვნელოდ<sup>42</sup>. საქართველო კვლავ დამოკიდებულია იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე, ავტომობილებზე, საკვებსა და სამრეწველო ნაწარმზე<sup>43</sup>. 2004 წელს, ექსპორტს კიდევ ერთი დამატებითი დაბრკოლება შეექმნა, როდესაც ლარის ღირებულება გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებაში. შედეგად, 2004 წლის პირველი ცხრა თვის განმავლობაში, დოლარის კურსი ლართან მიმართებაში 2.07-დან 1.70-მდე დაეცა. სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ზომები გაატარა კურსის ვარდნის შესაჩერებლად. გაცვლის კურსი სტაბილური გახდა და წლის ბოლოს 1.82 ერთეული შეადგინა.


ტაბულა 6. აშშ დოლარი/ლარის გადაცვლის კურსი<sup>44</sup> 31 დეკემბრის მდგომარეობით



### ზოგადად იმპორტის შესახებ

მცირე და საშუალო სანარმოთა 12% ეწეოდა საქონლის იმპორტს. 2003 წლის იმპორტში წამყვანი ადგილი მზა პროდუქციას ან ნედლეულს ეკავა. გამოკითხულთა პასუხების მიხედვით იმპორტირებულმა მანქანა-დანადგარებმა მთლიანი იმპორტის მხოლოდ 16% შეადგინა. გარდა რესპონდენტთა 12%-სა, რომლებიც უკვე დაკავებულნი იყვნენ იმპორტით, გამოკითხვამ ცხადყო, რომ კიდევ 5% აპირებდა მომდევნო წელს საიმპორტო ოპერაციების დაწყებას.

ტაბულა 7. იმპორტირებული საქონლის სახეობები, 2003



<sup>42</sup> სიღარიბის შემცირებისა და ეკონომიკური მართვის ერთეული, ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონი, საქართველო: ინტეგრირებული სავაჭრო განვითარების სტრატეგია XIV (5 ნოემბერი, 2003)


<sup>43</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური მიმოხილვა (იანვარი-ნოემბერი 2004)

<sup>44</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

### საგარეო ვაჭრობა


საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 1999 წელს გაწევრიანდა. 2004 წელს საქართველოს საერთო სავაჭრო დეფიციტმა დაახლოებით 1.2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა<sup>45</sup>. საქართველო, ასევე, განიცდის სავაჭრო დეფიციტს სავაჭრო პარტნიორების უმრავლესობასთან<sup>46</sup>. საქართველო უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებად კვლავ რჩებიან მეზობელი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები. რუსეთი საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, შემდეგ ადგილზეა თურქეთი, გაერთიანებული სამეფო და აზერბაიჯანი<sup>47</sup>.

ტაბულა 9. სავაჭრო პარტნიორები 2004 წელს<sup>48</sup>



საქართველოს სავაჭრო დეფიციტის ფონზე არ არის გასაკვირი, რომ მცირე და საშუალო სანარმოთა რაოდენობა, რომელიც იმპორტს აწარმოებდა, ექსპორტიორთა რაოდენობას 3.5-ჯერ აღემატებოდა. საქართველოში არსებულ კომპანიათა საერთო რაოდენობიდან (მცირე და საშუალო სანარმოები და მსხვილი კომპანიები) იმპორტიორთა რაოდენობა 2.5-ჯერ მეტია ექსპორტიორებზე, რაც მიანიშნებს, რომ მცირე და საშუალო სანარმოები ნაკლებად სავარაუდოა, რომ უფრო განახორციელებენ ექსპორტს, ვიდრე მსხვილი კომპანიები.

ტაბულა 10. მცირე და საშუალო სანარმოთა ექსპორტი/იმპორტის ოპერაციები დსთ-ს ქვეყნებთან



<sup>45</sup> საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები №1 (2005) 2004 წელს ექსპორტი გაიზარდა 40%-ით, ხოლო იმპორტი - 62%-ით.


<sup>46</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური მიმოხილვა, იანვარი-დეკემბერი 2004, გვ. 59.

<sup>47</sup> გაერთიანებული სამეფო საქართველოს ერთ-ერთ ძირითადი სავაჭრო პარტნიორი გახდა 2003 წელს, როდესაც დასავლეთის საექსპორტო ნავთობის მილსადენი აშენდა აზერბაიჯანიდან თურქეთის შავი ზღვის პორტ ჯეიჰანამდე.

<sup>48</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, საქართველოს სტატისტიკური მიმოხილვა, იანვარი-დეკემბერი 2004, გვ. 59.

2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების შეცვლამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ვაჭრობაზე: გაუმჯობესებულმა საბაჟო ადმინისტრირებამ და არაოფიციალური ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართულმა ზომებმა გააორმაგა სავაჭრო ბრუნვა. ამგვარი ზრდა წარმოადგენდა სავაჭრო ოპერაციების ფორმალურ სექტორში მოქცევის შედეგს<sup>49</sup>.

**ტაბულა 11. სავაჭრო მოცულობები**  
(მილიონი აშშ დოლარი)



<sup>49</sup> საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები №1 (2005) ("სავაჭრო ბრუნვის ამგვარი მნიშვნელოვანი ზრდა წარმოადგენს ანტიკორუფციული ზომების შედეგს, რომლებიც განახორციელა საქართველოს მთავრობამ, რამაც გამოიწვია იმპორტისა და ექსპორტის ლეგალიზება"). სტატისტიკის დეპარტამენტი არ აღრიცხავს ვაჭრობას კომპანიის ზომის მიხედვით. ამდენად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ ვერ შეძლო საერთო ვაჭრობის წილის გამოანგარიშება მცირე და საშუალო სანარმოთა მიხედვით.

### იმპორტირებული საქონლის განბაჟების პროცესი

განბაჟების პროცესი შედგება სამი ძირითადი ეტაპისაგან: საქონლის შესვლა საბაჟო ტერმინალზე, საქონლის შემოწმება და გადასახადების გადახდა. აღნიშნული სამი ეტაპის გავლის შემდგომ, იმპორტირებული საქონელი შეიძლება გაიშვას სარეალიზაციოდ საქართველოში.

საბაჟო კოდექსი ადგენს განბაჟების პირობებს. საბაჟო პროცესს ადმინისტრირებას უწევს საბაჟო დეპარტამენტი და ფინანსთა სამინისტრო. როდესაც საქონელი საქართველოს საზღვარს მიაღწევს, სასაზღვრო საბაჟო სამსახური გასცემს შიდა საბაჟო ტრანზიტის დოკუმენტს (შსტ). ამის შემდეგ საქონლის მესაკუთრემ საქონელი უნდა განაბაჟოს იმ საბაჟო ტერმინალზე, რომელიც შსტ-შია მითითებული.


საბაჟოს ტერმინალზე, ვეტერინარული, სამედიცინო-სანიტარული და ფიტო-სანიტარული სამსახურები სათითაოდ ამოწმებენ საქონელს. იმპორტიორმა ასევე უნდა აიღოს აღიარების/შესაბამისობის სერტიფიკატი საქსტანდარტიდან (ან საქსტანდარტის მიერ აკრედიტებული ტესტირების ლაბორატორიიდან). ამ ეტაპების გავლის შემდეგ, საბაჟოს მოხელეები შეუდგებიან განბაჟების პროცედურას.

საქონლის მფლობელი ვალდებულია:

- მოახდინოს საქონლის რაოდენობის დეკლარაცია
- დაამტკიცოს, რომ საქონელი გამოგზავნამდე იყო შემოწმებული (რაოდენობის, ხარისხისა და ღირებულების თვალსაზრისით)
- გადმოტვირთოს საქონელი და გახსნას შეკვრა მოთხოვნის შემთხვევაში.

იმპორტიორმა საბაჟო დეკლარაცია უნდა წარადგინოს საბაჟოში, სადაც მოხდება აღნიშნული საბუთის რეგისტრაცია. ამის შემდეგ, დეკლარაცია წარმოადგენს დოკუმენტურ დასაბუთებას იმისას, რომ იმპორტი ლეგალურია. დეკლარაციაში ინფორმაციის შეცვლა ან წარდგენილი დეკლარაციის გამოთხოვა, საჭიროებს საბაჟო სამსახურის ნებართვას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი ნებას რთავს იმპორტიორს ან სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეს მოამზადოს და წარმოადგინოს დეკლარაცია დამოუკიდებლად, პრაქტიკაში, ეს პროცესი მხოლოდდამხოლოდ საბაჟო ბროკერების მიერ ხორციელდება. მათი მონაწილეობის გარეშე განბაჟება შეუძლებელია. მხოლოდ საბაჟო ბროკერებს გააჩნიათ დეკლარაციის სწორი ფორმები. საბაჟო მოხელეებს აქვთ საბაჟო ბროკერებთან ურთიერთობის გამოცდილება და არაფორმალურად “წინასწარ ათანხმებენ” შევსებულ დეკლარაციებს, იმგვარად, რომ მათი უარყოფა გამოირიცხება მოგვიანებით განბაჟების პროცესში.



**2004 წლის დეკემბრის მონაცემებით დარეგისტრირებული მაკონტროლებელი ორგანოები<sup>50</sup>**

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - შრომის ინსპექცია;
2. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული ფასების სახელმწიფო ინსპექცია;
3. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ფქვილის ხარისხის ინსპექცია;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექცია;
5. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი საქსტანდარტი;
6. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი;
7. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის გამტარ პუნქტებზე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია;
8. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური;
9. საქართველოს ავტოსატრანსპორტო საქმიანობის სახელმწიფო კონტროლის სამსახური;
10. მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
11. საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია;
12. საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
13. საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტი;
14. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური;
15. საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს მთავარი არქიტექტურულ-სამშენებლო ინსპექცია;
16. ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ძვირფასი ლითონებისა და ქვების ზედამხედველობის დეპარტამენტი;
17. საქართველოს ეროვნული ბანკი;
18. საქართველოს კონტროლის პალატა;
19. ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო;
20. საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია;
21. საქართველოს სათბობ-ენერჯეტიკის სამინისტროს ენერგოზედამხედველობისა და სათბობის ხარისხის დეპარტამენტი;
22. საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური;
23. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი;
24. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია;

<sup>50</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტრო [www.justice.gov.ge](http://www.justice.gov.ge).

25. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;
26. საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო;
27. საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი;
28. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამსახურთან არსებული ფიტოსანიტარული კარანტინის სახელმწიფო ინსპექცია;
29. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან არსებული მცენარეთა დაცვის სამსახური;
30. ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი მოსაკრებლების საქალაქო სამსახური;
31. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი;
32. საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი;
33. საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია;
34. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ვეტერინარიის დეპარტამენტი;
35. ქალაქ ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ტრანსპორტის მართვისა და რეგულირების სამსახური;
36. ქალაქ რუსთავის მერიის სახმელეთო ტრანსპორტის სამსახური;
37. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
38. საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური;
39. საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება პროდუქციის და მომსახურების უსაფრთხოების სახელმწიფო ზედამხედველობის ინსპექცია;
40. ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურზე სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია;
41. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ცენტრალური ინსპექცია და მის დაქვემდებარებაში არსებული აჭარის ა/რ, ქობულეთის, ქ.ბათუმის, ხელვაჩაურის, ქედის, შუაქვეის, ხულოს, ქ.თბილისის, ქ.ქუთაისის, ქ.რუსთავის, ქ.გორის, ქ.ზუგდიდის, ქ.ტყიბულის, ქ.ფოთის, ქ.წყალტუბოს, ქ.ჭიათურის, ასპინძის, ადიგენის, აბაშის, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახალგორის, ახმეტის, ბაღდათის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, დუშეთის, ვანის, ზესტაფონის, თეთრიწყაროს, თელავის, თერჯოლის, თიანეთის, კასპის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მარნეულის, მარტვილის, მესტიის, მცხეთის, ნინოწმინდის, ონის, ოზურგეთის, საგარეჯოს, სამტრედიის, სიღნაღის, საჩხერის, სენაკის, ქარელის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ჩხოროწყის, ცაგერის, წალენჯიხის, წალკის, ხარაგაულის, ხაშურის, ხობის სახელმწიფო სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციები;
42. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი;
43. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსური პოლიცია.
44. ქ. რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის ადმინისტრაციული ინსპექცია.
45. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის აქციზის გადამხდელთა ინსპექცია.
46. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლის ინსპექცია.

### საგადასახადო შემონმებების ტიპები <sup>51</sup>

საგადასახადო შემონმება, რომელსაც ატარებს საგადასახადო ორგანო, შეიძლება იყოს კამერალური და გასვლითი.

**კამერალური საგადასახადო შემონმება** – გადასახადის გადამხდელის საქმიანობის ადგილზე გაუსვლელად, ადგენს საგადასახადო ორგანოში გადასახადის გადამხდელის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების, საგადასახადო დეკლარაციების, ცნობების, დასკვნების, გაანგარიშებების, საგადასახადო ორგანოში არსებული სხვა დოკუმენტებისა და მონაცემების, აგრეთვე, გადასახადის გადამხდელისაგან მიღებული ახსნა-განმარტებისა და სააღრიცხვო დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების შესაბამისობას საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

**გასვლითი საგადასახადო შემონმება** - ითვალისწინებს გადასახადის საქმიანობის ადგილზე გადასახადის გამომანგარიშებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სრულ ან შერჩევით შემონმებას. გასვლითი საგადასახადო შემონმება შეიძლება მოიცავდეს გადასახადის გადამხდელის საქმიანობაზე დაკვირვების საგადასახადო კონტროლის პროცედურებსაც.

გასვლითი საგადასახადო შემონმება შეიძლება იყოს გეგმური ან საკონტროლო.

1. **გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმება** ტარდება საგადასახადო ორგანოს უფროსის/ მისი მოადგილის გადაწყვეტილებით, კალენდარული წლის განმავლობაში არა უმეტეს ერთხელ, რის თაობაზედაც გადასახადის გადამხდელს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება 10 დღით ადრე. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს გეგმური გასვლითი საგადასახადო შემონმების საფუძველი და საგანი. ასევე შემონმების ჩატარების სავარაუდო დრო.
2. **საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმება** ტარდება წერილობითი შეტყობინების გარეშე.
3. **გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმება** – საგადასახადო ორგანოს გადაუდებელი აუცილებლობის ფარგლებში, საგადასახადო ორგანოს უფროსის წერილობითი ბრძანების საფუძველზე უფლება აქვს წინასწარი შეტყობინების გარეშე ჩაატაროს გადაუდებელი საკონტროლო გასვლითი საგადასახადო შემონმება თუ:
  - ა. ბოლო საგადასახადო შემონმებისას გამოვლინდა გადასახადის გადამხდელის მიერ საგადასახადო ვალდებულებათა მნიშვნელოვანი დარღვევის ფაქტები ან არსებობს სხვა ფაქტები, რომლებიც ადასტურებს ასეთი დარღვევის შემთხვევებს;
  - ბ. არსებობს სანდო ინფორმაცია, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს გადასახადის გადამხდელის ფინანსური და მატერიალური საშუალებების წარმოშობას;
  - გ. არსებობს სანდო ინფორმაცია ქონების ან გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტის დოკუმენტურად დაუდასტურებელი მატების შესახებ;
  - დ. საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაციებით და სხვა დოკუმენტებით არ დასტურდება დაბეგვრის ობიექტებისა და გამომანგარიშებული გადასახადების რეალობა;
  - ე. წარდგენილი არ არის საგადასახადო დეკლარაცია ან გადასახადის გამოსაანგარიშებლად ან/და გადასახდელად საჭირო დოკუმენტები;
  - ვ. საწარმო/ორგანიზაციამ შეიცვალა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

<sup>51</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2004

